24/01/2025

MES 7 25 0000056194

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინოცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლა:
დავით ხარაბაძე - სკოლის დირექტორი

შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი:
თამარი მანძულაშვილი - სკოლის დირექტორი;
ნათია ქაჯაია - სკოლის იურისტი

შპს ხერხემი:
ბელა კაპანაძე -სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა:
ქრისტინე ძიძიგური - პრორექტორი

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“:
ვახტანგი აბაიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა:
ვასილი ქეშელაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ მცხეთის №2 საჯარო სკოლა:
ნანა ბოხუა - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლა:

ა) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ღაჭავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი:

ა) ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) იოსები ლაზარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაკა ნადარეიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს ხერხემი:

ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი მოდებაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა:

ა) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ხათუნა თოიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ედუარდ ნაკაიძე(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 13 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ხერხემში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“ - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - ქალაქ მცხეთის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ცენტრს ელ-ფოსტის საშუალებით დაუკავშირდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ია ქურიძე, რომელსაც უნდა წარედგინა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან სკოლა „რეცა“-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, იგი ვერ ახერხებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას, აქვე, აღნიშნა, რომ მონიტორინგის დასკვნის შინაარსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო სკოლის წარდგენა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ. შესაბამისად, ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით აღნიშნული საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მე-6 და მე-7 საკითხების განხილვას ესაჭიროებოდა შედარებით მცირე დრო, აქედან გამომდინარე, დააყენა შუამდგომლობა აღნიშნული საკითხების 1-ელ და მე-2 საკითხად გადმოტანასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობები და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
2. „სსიპ - ქალაქ მცხეთის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ხერხემში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს განუმარტა, რომ სსიპ-კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა და სსიპ- ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლა იყვნენ მიმდინარე წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმაში. მისი განმარტებით, მოცემულ მომენტში, ცენტრში მიმდინარეობდა სკოლების მიერ გადასახდელი თანხის რევიზია

და ხელახლა დაანგარიშება, შესაბამისად, სკოლების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, აღნიშნული სკოლების მონიტორინგის პერიოდი გადაედოთ მანამ, სანამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში არ განხორციელდებოდა ცვლილება მონიტორინგის საფასურთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

1. „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის პირველ ნაწილში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლას (ს/კ: 232550744) 1-ელ და მე-2 სტანდარტებთან მიმართებით 2025 წლის იანვრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის ფორმით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის პერიოდი განსაზღვრულიყო მას შემდეგ, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში განხორციელდებოდა შესაბამისი ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის პირველ ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხისსაჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2021 წლიდან სკოლა გადავიდა ახალ აშენებულ შენობაში, რომელიც აშენდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. სკოლის ძირითადი შენობა იყო ერთსართულიანი, რომლის საერთო ფართი 517,0 კვ.მეტრს შეადგენდა. ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაწესებულების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სველი წერტილით, გამწოვის სისტემითა და დამხმარე ოთახით. სკოლას არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი, თუმცა ჰქონდა კეთილმოწყობილი გარე მოედანი.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განმარტა, რომ პირველი, მეორე (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მესამე და მეოთხე სტანდარტები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ იმ კომპონენტთან დაკავშირებით, რომლიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა მისია და ხედვა გაზიარებული იყო თუ არა სასკოლო საზოგადოების მიერ. ამასთან ერთად მან, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა ეტაპზე იყო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვის საკითხი.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას ყველა დოკუმენტი შემუშავებული ჰქონდა გუნდური პრინციპით, შესაბამისად, მისია და ხედვა გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ. კომპიუტერულ ლაბორატორიასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ვასილ ქეშელაშვილმა, განმარტა, რომ სკოლამ მიიღო კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა და აქტიურად ხდებოდა მათი გამოყენება სწავლებისა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელების დროს.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა SWOT ანალიზის შინაარსით, კერძოდ, სუსტი მხარეების გამოსწორების გრაფაში მითითებული იყო, რომ სკოლას გასაუმჯობესებელი ჰქონდა მოსწავლეთა კონტიგენტი და მიმართა სკოლის წარმომადგენელს

განემარტა რა იგულისხმებოდა აღნიშნულში სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ვასილ ქეშელაშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან სკოლა მცირე კონტიგენტიანი იყო, აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობდა მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდას.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ბუფეტი, ასევე, სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, სკოლის საიტზე ატვირთული ბიუჯეტი იყო თუ არა რეალური. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ვასილ ქეშელაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებაში იყო კვების ბლოკი, თუმცა არ ფუნქციონირებდა. რაც შეეხებოდა სკოლის ბიუჯეტს, აღნიშნა, რომ სკოლის საიტზე ატვირთული დოკუმენტაცია სრულიად რეალური იყო და ბიუჯეტის დიდი ნაწილი ხმარებოდა სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას.
საბჭოს წევრი ნატო გაბოშვილი, დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სასწავლო პროცესების ხარისხის მონიტორინგს, ესწრებოდა თუ არა გაკვეთილებს.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ვასილ ქეშელაშვილმა, განმარტა, რომ მასწავლებელთა კონტიგენტი სკოლაში საკმაოდ კვალიფიციური იყო, ხორციელდებოდა თვითდასწრება, რაც გულისხმობდა სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებების მასწავლებლების საგაკვეთილო პროცესებზე დასწრებას, გარდა ამისა, სკოლაში აქტიურად ტარდებოდა ღია გაკვეთილები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 - ით განსაზღვრის საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 26 იანვარი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 16:45.
დასრულების დრო: 17:00.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ავტორიზაციას, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოწესრიგებული.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 11-ე პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლას (ს/კ: 232550744) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 26 იანვარი. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი წინარეხი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი წინარეხი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შემდგომი პერიოდი;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის იანვრამდე. საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, სკოლამ უნდა წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ასევე შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და შეათანხმოს შესაბამის სამსახურთან და დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოედგინოს ცენტრში. აგრეთვე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია დაამონტაჟოს შიდა სამეთვალყურეო კამერები.“

2. „სსიპ - ქალაქ მცხეთის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის პირველ ნაწილში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლას (ს/კ: 236087630) მე-3 და მე-4 სტანდარტებთან მიმართებით 2025 წლის იანვრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის ფორმით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის პერიოდი განსაზღვრულიყო მას შემდეგ, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში განხორციელდებოდა შესაბამისი ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ მცხეთის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ მცხეთის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N120828 ოქმის მეორე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2. სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია მამისეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ

მცხეთის N2 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ მცხეთაში, შრომის ქუჩა N22-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 450 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, მაია მამისეიშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო ეროვნულ თუ საერთაშორისო სხვადასხვა პროექტებში, მონაწილეობდა კონკურსებსა და ოლიმპიადებში. სხვადასხვა საგნისა და მიმართულების მიხედვით სკოლას ჰქონდა გარკვეული წარმატებული შედეგები: 2022 წლიდან სკოლა ჩართული იყო USAID-ის სამოქალაქო განათლების პროექტში, რომლის ფარგლებშიც ,,მცირე საგრანტო პროექტების“ კონკურსში გამარჯვებულიც გახდა და საჩუქრად მიიღო სამოქალაქო კლუბის მოსაწყობი საოფისე ტექნიკა, ასევე გაიმარჯვა ტექნიკის კონკურსში და მიიღო კომპიუტერული ტექნიკის სრული კომპლექტი. სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა დაიმსახურა აღიარება-ჯილდო ,,წლის საუკეთესო მასწავლებელი“. სკოლას შექმნილი ჰქონდა საკუთარი ბლოგი ,,ახალი ხედვა“, სადაც ათავსებდა სამოქალაქო განათლების მიმართულებით კლუბის ნამუშევრებს. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობდა პროფესიული პროგრამების განხორციელებას, თანამშრომლობდა პროფესიულ სასწავლებელ ,,იკაროსთან“. ამერიკის საელჩოს მიწვევით სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ესწრებოდნენ ,,ვაქცინაციის კვირეულის“ ეგიდით გამართულ ღონისძიებებს. სკოლა თანამშრომლობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ალტე უნივერსიტეტთან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრთან, კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს ბანკის ინიცირებულ პროექტებში მონაწილეობდა პროფესიულ კოლეჯ ,,იკაროსთან“ ერთად. სკოლა ჩართული იყო საერთაშორისო პროექტში ,,Technovation Girls 2023”, რომელიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიების გამოყენების პროცესებში ქალთა ჩართულობის გაზრდას. მოსწავლეებისაგან შემდგარმა გუნდმა ,,3V” მოამზადა პროექტი, რომლის ფარგლებში შეიქმნა სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის მობილური აპლიკაცია ,,SPETLY”, საერთაშორისო პორტალზე მას მოჰყვა სათანადო აღიარება. სკოლის პედაგოგები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ,,etwining”-ის საერთაშორისო პროექტებში და განხორციელებული ჰქონდათ არაერთი პროექტი.

ექსპერტის განცხადებით, პირველი , მეორე (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მეოთხე სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი კი შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ვინაიდან „მეტწილი“ შესაბამისობით შეფასებული იყო, 3.1. კომპონენტი.

ექსპერტმა, მაია მამისეიშვილმა, აღნიშნა, რომ თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის ტერიტორია მხოლოდ ნაწილობრივ იყო შემოღობილი და ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო საყურადღებო. ექსპერტის განცხადებით სკოლის ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის ქვესადგურის ნაწილი მდებარეობდა, არ იყო უზრუნველყოფილი ტერიტორიის განმხოლოება მავთულებით ან რაიმე სხვა ტიპის გამყოფით, ასევე არ იყო გამაფრთხილებელი ნიშნები .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, ყურადღება გაამახვილა სკოლის ეზოში მაღალი ძაბვის ქვესადგურის არსებობაზე და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა რა ეტაპზე იყო ამ საკითხთან დაკავშირებული პროცესები და რამდენად უსაფრთხო იყო ეზოში ამჟამად მოსწავლეთა გადაადგილება.
სკოლის დირექტორმა, ნანა ბოხუამ აღნიშნა, რომ სკოლის შენობისგან გარკვეული მანძილით იყო დაშორებული ელექტროქვესადგური, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებდა სკოლას და სოფლის რამდენიმე მოსახლეს. მას შემდეგ რაც ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაციები სადგურის არსებობასთან დაკავშირებით, სკოლა რესურსცენტრის მეშვეობით მოლაპარაკებას ახორციელებდა ენერგო-პროს მცხეთის ფილიალთან და თითქმის მიღწეული იყო შეთანხმება რომ მომხდარიყო აღნიშნული ელექტროქვესადგურის გატანა სკოლის ტერიტორიიდან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა ჰყავდა თუ არა სკოლას ექიმი.
სკოლის დირექტორმა, ნანა ბოხუმ, განაცხადა რომ სკოლას კონკური გამოცხადებული ჰქონდა ორჯერ, თუმცა ორივე შემთხვევაში უშედეგოდ, ვინაიდან ვაკანსიას გამოხმაურება არ მოჰყოლია.დირექტორის განცხადებით, სკოლამ მიმართა განათლების სამინისტროს ექიმის შტატის ექთნით ცვლილებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც კიდეც ერთხელ გამოცხადდა კონკურსი , თუმცა კვლავ არ მოჰყოლია გამოხმაურება. ამჟამად სკოლას ჰყავდა კადრი, რომელიც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში დასაქმებული იყო, როგორც სკოლის ექიმი, თუმცა მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. დირექტორმა აღნიშნა, რომ ის კვლავ აპირებდა ვაკანსიის გამოცხადებას, იქამდე კი აღნიშნულ პოზიციაზე რჩებოდა სკოლის ამჟამინდელი ექიმი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, ასევე დაინტერესდა ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და ჰქონდა თუ არა რესურსოთახი.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლას ამჟამად ჰყავდა 11 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე და ერთი სპეცმასწავლებელი. დირექტორის განცხადებით, სკოლას აქვს რესურსოთახი, თუმცა სკოლამ ვერ უზრუნველყო მეორე სპეცმასწვალებლის აყვანა, ვინაიდან ვაკანსიებზე არ ხდებოდა გამოხმაურება,

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა კვლავ მიმართა კითხვით სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა ხდებოდა თუ არა მოსწავლეთა მიერ შექმნილი მობილური აპლიკაცია ,,SPETLY”-ს გამოყენება პრაქტიკაში. სკოლის დირექტორმა, ნანა ბოხუამ აღნიშნა რომ აპლიკაციის პრაქტიკაში გამოყენება არ მომხდარა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა რომ ექსპერტთა მიერ დასკვნაში სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა რამოდენიმეჯერ იყო აღნიშნული. მან სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა რა მდგომარეობა იყო ამ მიმართულებით სკოლაში.
სკოლის დირექტორმა, ნანა ბოხუამ განაცხა რომ სკოლის ეზოში მდებარეობდა ძველი საპირფარეშოები რომლის გატანაზეც სკოლა აქტიურად მუშაობდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის მიერ სპეცმასწავლებლის ვაკანსია რომელიც გამოქვეყნდა 2024 წლის 5 იანვარს, მასზე გამოხმაურების ბოლო ვადა მითითებული იყო 2024 წლის 10 იანვარი. ვაკანსიის ტექსტში კი სამუშაოს დაწყების თარიღად მითითებული იყო 2023 წლის დეკემბერი. საბჭოს წევრმა სკოლას რჩევის სახით განუცხადა, რომ 11

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევას ვერ შეძლებდა ერთი სპეცმასწვალებელი, ამიტომ სკოლას მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოეჩინა აღნიშნული საკითხის მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავთ მალაზონიამ, საგნობრივ ექსპერტებს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ საგნობრივი კურიკულუმების შესახებ.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ლია კობესაშვილმა აღნიშნა, რომ მათემატიკის მიმართულებით კურიკულუმები შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ ექსპერტის განცხადებით მასწავლებლებმა გასაუბრებისას კარგად წარმოაჩინეს თავი, ისაუბრეს დიფერენცირებულ დავალებებზე და წარმოადგინეს ნიმუშებიც.
უცხო ენების საგნობრივმა ექსპერტმა რუსუდან ნიპარიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად იყო ჩართული სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისსწავლა-სწავლების პროცესში და განხორციელებული აქტივობები სრულად შეესაბამებოდა მოსწავლეთა საფეხურსა და სტანდარტის მოთხოვნებს.
ტექნოლოგიების საგნობრივმა ექსპერტმა, ოლიკო კილაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში აღნიშნული საგანი ისწავლებოდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, თუმცა პედაგოგის ინიციატივით ხორციელდებოდა საკლუბო აქტივობები, სადაც ჩართული იყვნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო 17:40.
დასრულების დრო 17:50.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 26 იანვარი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა, სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლა საჭიროებდა სანიტარულ ჰიგიენური ნორმების უკეთ დაცვას. ასევე, სკოლას არ ჰქონდა სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოწესრიგებული.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 11-ე პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 236087630) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 26 იანვარი. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. მცხეთა, შრომის ქ. N22
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. მცხეთა, შრომის ქ. N22
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. მცხეთა, შრომის ქ. N22

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შემდგომი პერიოდი;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მესამე და მეოთხე სტანდარტი.“

3. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 ნოემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.

ექსპერტის თქმით, დაწესებულება დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა სამ მისამართზე: ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეებში, ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ ქურდულსა და სოფელ ახალუბანში.

ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა “ნაწილობრივი” შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორი გეგმა ჰქონდა სკოლას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის. ასევე, მიმართა ექსპერტს, შეეფასებინა როგორი იყო სკოლისა და მისი წარმომადგენლების პოტენციალი კურიკულუმების დახვეწის მიმართულებით.

ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეს სკოლის წარმომადგენლები ქტიურად იყვნენ ჩართულნი გარკვეულ პროცესებში, ჰქონდათ მაღალი მოტივაცია და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერის იმედი.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰყავდა კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებსაც ჰქონდათ მზაობა და შესაბამისი უნარები, კურიკულუმების დახვეწისთვის. მისი თქმით, სკოლას ესაჭიროებოდა მხარდაჭერა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იქნებოდა ერთგვარი გზამკვლევი.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, პირველ კლასში მისაღები მოსწავლეების რაოდენობის მინიმუმ 10% განესაზღვრათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიღებაზე.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ვებ-გვერდზე უფიქსირდებოდა ოთხი შენობა და ვინაიდან ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული იყო, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას

ახორციელებდა სამ შენობაში, დაინტერესდა, რა ვითარება იყო ამ მიმართულებით. ასევე, მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, რატომ იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ადგილი გამოყოფილი მხოლოდ სოფელ ახალუბნის სკოლაში.
ექსპერტის, ზაზა ჭანტურიას, განმარტებით, დაწესებულებას ოფიციალურად ჰქონდა სამი შენობა, ხოლო ერთი (მეოთხე) არ იყო გაფორმებული საჯარო რეესტრში. აქვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან დაკავშირებით, დასძინა, რომ სკოლას ჰყავდა ერთი მოსწავლე, რომელიც იყო სოფელ ახალუბნის მაცხოვრებელი და იმყოფებოდა შინ სწავლაზე.
აქვე, საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო რესურს ოთახის მოწყობასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა რესურს ოთახის მოწყობისთვის გამოყოფილი სივრცე და შესაბამისი ინვენტარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:30
დასრულების დრო - 16:35

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლას (ს/კ: 248058266) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ტუნაძეები; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქურდული; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალუბანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ტუნაძეები
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ტუნაძეები

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2027 წლის იანვრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სრული მონიტორინგი.

4. შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 23 და 24 ოქტომბერს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1333653 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილგანწყობილი გარემო. ასევე, ტრადიციად ჰქონდათ გარკვეული საკითხების დაგეგმვისას მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური ჩართულობა, რასაც ადასტურებდნენ მოსწავლეები და მშობლები.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, შიდა სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), და მე-3 (ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, 1.1 კომპონენტთან მიმართებით,სკოლამ ვერ დაასაბუთა მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ხოლო 3.1 კომპონენტთან მიმართებით, მასწავლებელთა პირად საქმეებში არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი კანონის საფუძველზე მოთხოვნილი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ და “საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ” ცნობები და ვერ დგინდებოდა პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა, რადგან სკოლას არ ჰქონდა განსაზღვრული პერსონალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრში შემოსული იყო სკოლის წერილი, რომელიც ეხებოდა დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზების შესახებ დოკუმენტაციას. აღნიშნული წერილი თარიღდებოდა 2025 წლის 13 იანვრით (საბჭოს ჩატარების დღე) და შესწავლის მიზნით ვერ მიეწოდებოდა ექსპერტთა ჯგუფს და შესაბამისად, ვერ იქნებოდა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, რა ვითარება იყო მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და გაზიარების მიმართულებით.
სკოლის დირექტორის, თამარ მანძულაშვილის, განმარტებით, უქმე დღეების გათვალისწინებით, ხარვეზების გამოსწორების დოკუმენტაცია წარმოადგინეს პირველივე სამუშაო დღეს (2025 წლის 13 იანვარს). სხვა საკითხებზე სასაუბროდ კი, სიტყვა დაუთმო სკოლის იურისტს, ნათია ქაჯაიას.
სკოლის იურისტის, ნათია ქაჯაიას, განმარტებით, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ გაითვალისწინა ყველა შენიშვნა, თუმცა, გარკვეულ დოკუმენტაციას მისი რაოდნობიდან გამომდინარე ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი და აღნიშნული ცენტრს მიეწოდა 2025 წლის 13 იანვარს. მისი თქმით, ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია მოიცავდა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას. რაც შეეხებოდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას, სკოლას შემუშავებული ჰქონდა რეგულაცია და ოქმებიც წარმოდგენილი იყო 2025 წლის 13 იანვარს გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:59
დასრულების დრო 17:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 13 იანვარი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარის (ს/კ: 208148930) მონიტორინგთან დაკავშირებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 13 იანვარი.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის მაისში 3.1 კომპონენტთან მიმართებით „„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“; “საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ” ცნობებისა და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. შპს ხერხემში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 23 და 24 ოქტომბერს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1333658 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ექსპერტმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის სახელწოდება „შპს ხერხემი“ დასკვნის პროექტის ფარგლებში არ იყო შესაბამისობაში „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინთან. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად კი სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან, რითაც დასტურდებოდა, რომ ცვლილება შევიდა დასახელებაში და სკოლის სახელად განისაზღვრა „შპს ხერხემის კერძო სკოლა“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ჰქონდა გახანგრძლივებული სწავლება, რომელსაც უძღვებოდა უმაღლესი განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. მისი თქმით, მშობლებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ისინი კმაყოფილებას გამოხატავდნენ სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მიმართ.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა. მისი თქმით, დაწესებულების შენობა არ იყო ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, ასევე, დაწესებულებას არ ჰქონდა შესაბამისი სტანდარტების მქონე სპორტული დარბაზი, თუმცა შენობაში გამოყოფილი იყო სივრცე სპორტული აქტივობებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტს, შეეფასებინა, რამდენად ჰქონდა სკოლას იმის რესურსი, რომ „მეტწილად“ შესაბამისი კომპონენტები მოეყვანათ სტანდარტთან სრულად შესაბამისობაში.

ექსპერტის, ქეთი ბოტკოველის, განმარტებით, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, შეიმჩნეოდა სკოლის მზაობა გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის. გარდა ამისა, სკოლაში სწავლობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის მოსწავლეები, რომლებიც გამოხატავდნენ განსაკუთრებულ სიყვარულს სკოლისა და მასწავლებლების მიმართ.
აქვე, ექსპერტმა, ნიკა უთალიშვილმა, აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, სკოლას მიეცა ბევრი რეკომენდაცია, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიხედვით წარმართულიყო სასწავლო პროცესი. მისი თქმით, სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა მიმართულებით პროექტს, თუმცა, აღნიშნული დოკუმენტურად არ იყო გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:35
დასრულების დრო 17:46

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ხერხემის კერძო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 13 იანვარი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ხერხემის კერძო სკოლის(ს/კ: 224089420) მონიტორინგთან დაკავშირებით.
 აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 13 იანვარი.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის იანვრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სრული მონიტორინგი.

6. **ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, ირმა ხუციშვილმა და ნატო ოგანეზოვმა. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 30 და 31 ოქტომბერს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1347213 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ვიზიტი სკოლაში განხორცილებული იყო 2022 წლის 20-22 დეკემბერს. წარმოება წარმართული იყო ძველი სტანდარტების მიხედვით და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო 7 რეკომენდაცია, რომლებიც სრულად ჰქონდა სკოლას გათვალისწინებული.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა „შესაბამისად“, ხოლო მე-3 (ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გარკვეულ საკითხებთან მიმართებით არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ყველა საჭირო მატერიალური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაეკეთებინა განცხადება ექსპერტთა მიერ აღწერილ გარემოებებთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენლის, ქრისტინე ძიძიგურის, განმარტებით, დაწესებულებამ მოიპოვა დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, ასევე, მიღებული ჰქონდათ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების შეთანხმებული დოკუმენტი. სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ამოიღეს ის ჩანაწერი, რომელიც შეუსაბამო იყო კანონმდებლობასთან. გასაჩივრების წესში დააკონკრეტეს ვადები, თუმცა აპირებდნენ დაეკონკრეტებინათ პასუხისმგებელი პირის ვინაობაც. გარდა ამისა, ხელშეკრულებებში დაამატეს ანაზღაურებადი შვებულების პუნქტი და შრომის ანაზღაურების ოდენობა. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მათ ჰქონდათ სრული მზაობა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 18:25
დასრულების დრო 18:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 13 იანვარი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (ს/კ: 235449813) მონიტორინგთან დაკავშირებით.
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 13 იანვარი.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2027 წლის იანვრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მესამე და მეოთხე სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:37 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა